ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ფემიციდის საქმეზე საქართველოს წინააღმდეგ გადაწყვეტილება მიიღო

2023 წლის 15 ივნისს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე □□□ გ. საქართველოს წინააღმდეგ” (no 38650/18) გადაწყვეტილება გამოაქვეყნა.

საქმე შეეხება ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტს, რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო ყოფილი მეუღლის მხრიდან სისტემატიური ძალადობის გამო. გარდაცვლილი წლების განმავლობაში მიმართავდა პოლიციას და შველას ითხოვდა, თუმცა სამართალდამცავმა უწყებებმა არ გამოიჩინეს სათანადო გულისხმიერება და არ შეასრულეს მათთვის დაკისრებული ვალდებულებები. საიამ, პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად, საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს 2018 წლის 9 აგვისტოს წარადგინა.

სასამართლომ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) მუხლის დარღვევა დაადგინა მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლთან ერთობლიობაში.

საია საჩივარში ასაბუთებდა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ქალის გარდაცვალების პრევენცია, მიუხედავად მსხვერპლის მიერ გარდაცვალებამდე პოლიციისთვის 16-ჯერ მიმართვისა და ვერ დაიცვა მსხვერპლი ყოფილი მეუღლის მხრიდან სისტემატური ხასიათის ძალადობისგან.

სახელმწიფომ არ გამოიძია თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტი ფემიციდის თვალთახედვით, დანაშაულის გამოძიებისა და დასჯის პროცესში არ გაითვალისწინა გენდერული მიდგომები და საქმეში არსებული დამამძიმებელი გარემოებები.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მომჩივნის წარმომადგენელთა არგუმენტები და დაადგინა Ḍ□□□ საჩივარი კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურულ ნაწილთან დაკავშირებით ორ ასპექტს მოიცავს: პირველი, რომ მიმდინარე გამოძიება სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არსებული შესაძლო დაუდევრობის შესახებ იყო არაეფექტიანი და მეორე, რომ განმცხადებლის ქალიშვილის შეურაცხყოფასა და სიკვდილთან დაკავშირებით გამოძიება მოძალადის წინააღმდეგ იყო არაადეკვატური □ (§60).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, საქართველოში ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ სისტემურ პრობლემაზე და აღნიშნა, რომ სამართალდამცავებმა გამოიჩინეს დაუდევრობა მომჩივნის შვილის მიმართ (§62). სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს, რომ მომჩივნის შვილმა 16-ჯერ დარეკა დახმარების თხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული 16 შეტყობინების საფუძველზე პოლიციამ 13-ჯერ პატრულის ეკიპაჟის გაგზავნით, ხოლო 3-ჯერ შემაკავებელი ორდერით უპასუხა, სამართალდამცავებმა არ მიაქციეს ყურადღება იმას, რომ მომჩივნის შვილმა დახმარების თხოვნა შეწყვიტა. ადამიანის უფლებათა

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა განსაკუთრებით დაუცველი მდგომარეობიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ბაზამ შესაბამის ორგანოებს უნდა მისცეს შესაძლებლობა, საკუთარი ინიციატივით გამოიძიონ ეს საკითხები, და ამას ხელი არ უნდა შეუშალოს დაზარალებულის მხრიდან განცხადების არარსებობამ ან შემდგომ განცხადების გამოტანამ (§71).

სტრასბურგის სასამართლოს ყურადღების მიღმა არ დარჩენია ისიც, რომ სამართალდამცავები თითოეულ განცხადებას ცალკე შემთხვევად განიხილავდნენ და არა სისტემურად, რაც რისკის არასათანადოდ შეფასებაში გამოიხატა. შესაბამისად, სწრაფი და გულმოდგინე ქმედებების არარსებობამ მოძალადეს დაუსჯელობის განცდა შეუქმნა, რამაც ძალადობის განმეორებას ხელი შეუწყო.

სასამართლომ შეაფასა მიმდინარე გამოძიებაც და აღნიშნა, რომ 2019 წლის მაისიდან 2021 წლის დეკემბრამდე სამართალდამცავთა უმოქმედობასთან დაკავშირებით გამოძიებას არც ერთი ღონისძიება არ განუხორციელებია. რაც შეეხება მოძალადეს, ევროსასამართლოს შეფასებით, იგი მსჯავრდებულია ოჯახში ძალადობის ერთ ფაქტზე, რაც მომჩივნის შვილის გარდაცვალებას უძღოდა წინ და უზენაესმა სასამართლომ უგულებელყო წინარე შემთხვევები.

სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ Ḍ□□□□ ძალადობა თითქმის არასდროს არის ერთჯერადი ინციდენტი, ის ძირითადად მოიცავს კუმულაციურ და ურთიერთდაკავშირებულ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ, ემოციურ, სიტყვიერ და ფინანსურ ძალადობას □ (§67).

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ეროვნულ დონეზეც აქტიურად იცავდა მომჩივნის ინტერესებს. სამოქალაქო საქმის ფარგლებში მომჩივანმა მიიღო კომპენსაცია, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მისასალმებელია სამოქალაქო საქმეებით ზიანის ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა, Ḍ□□□□□ მითითებულ საქმეში, [ეროვნულმა] სასამართლომ არ შეაფასა, თუ რამდენად იყო პოლიციელთა უმოქმედობა დისკრიმინაციული მოტივით განპირობებული (§65).

სახელმწიფოს ჩადენილ დარღვევებზე სამართლიანი დაკმაყოფილების სახით მორალური ზიანისთვის 20 000 (ოცი ათასი) ევროს, ხოლო ხარჯებისთვის კი 12 600 (თორმეტი ათას ექვსასი) ევროს გადახდის ვალდებულება დაეკისრა.

მომჩივნის ინტერესებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია European Human Rights Advocacy Centre-თან

ერთად იცავდა.

ამ საქმეს საია USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით აწარმოებს.